

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს ბარდა

შპსი განცხადებისა

დიდი ხანობა ასოცირებული...
შეიქმნა ასოცირებული...
თუ საჭიროება მოითხოვს...
და შემოკლებს დანებდა...
განცხადების მიღება...
ქუთაისში განცხადება...

ცალკე ნომერი „დროებას“ ღირს 5კაპ.

რედაქცია
კლავინის პროსპექტი...
ბელის-მოწარა
მიღება თვითნებ...
„დროება“-ნიმერი...
წელიწადში 6 თვეს...
„დროება“ და „გერა“ ერთად...
„დროება“...
„დროება“...

დრამატული საზოგადოების
მართველობა აცხადებს, რომ ამ
საზოგადოების წევრებს შეუძ-
ლიანთ შემოიტანონ წლის ფუ-
ლი ხუთ-ხუთა მანეთი პირველ
მარტამდე, შემდეგი აღრესით:
თბილისს, კასსირს გ. თუმანი-
შვილს ბარიათისსკის ქუჩაზე,
სახლში № 8. (6-4)

არწრუნის თეატრში
გვირგვინი, 22 თებერვალს
გ ა ნ ე მ ი ს ი
ნ. ხეიძისა

ქართულ ტრუპისაგან წარმოიდგინება
I
ქოროლი
ტრაგედია 4 მოქმედ. ზ. ანტონოვისა.

II
პარისკამბარისას
ხუმრობა-ვოდვილი ერთ მოქმედებად
თ. რაფ. შრისთისა.

ანტირამპში იმღერებს აბდუ-ბაღი.
ქართულ სიმღერებს იმღერებს
ნ. გაბუნია.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თე-
ატრის კასაში.
დასაწყისი 8 საათზე.

არწრუნის თეატრში
პარასამუს, 20 თებერვალს
ქართულ ტრუპისაგან წარმოიდგინება

I
პ რ ი ს ტ ა ვ ი
მოქმედია 2 მოქმედ. რ. შრისთისა.

II
გ მ ტ ი ა
მოღვეილი 1 მოქმედებად.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეა-
ტრის კასაში.
დასაწყისი 8 საათზე.

ტელეგრაფები
(ხალხთა შორის საგანგებო)

პეტერბურში, 17 თებერვალს. გ.ზ.
„ზორადაღვი“ დაბეჭდილია, რომ
ცალკე კომისიას მინდაილი აქვს,
შეადგინოს გლეხ-განგებებისაგან საზო-
გადოება ადგილების შესასყიდველი ფა-
სი. კამისამ თვის აზრი მარტში უნ-
და წააუდგინოს სახელმწიფო რჩე-
ვის.

ლონდონი 16 თებერვ. ინგლისის
ჯარები იზიგოებიან, ღანგსტევის

მარცხნივ, უკან განდევნეს ბოქსები.
არაფერს მხრით ბეჭდა დაჭრილები და
შოკლები ანაინ. რამდენიმე ისგლი-
სული აფიერება დაჭრილია და შოკ-
ლები; ამობენ, ინგ. ღენ. კალ-
დეიც მოჭკესა. მთელი მე-60 ზად-
კი ინგ. ჯარისა გაწვევტილია, 100
განი თუ გადაწხა, მეტი არა. ამო-
ბენ, ინგლისელებს ტყვია-წამალი შე-
მაჯდნათ და იმიტომ დამარცხდ-
ნენ.

პეტერბურის ბირჟა, 17 თებერვალს.
(„ხალხთა შორის საგანგებო“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	95	62
მეორესი	93	25
მესამესი	93	50
მეოთხესი	93	—
აღმოსავლეთის პირველი	92	37
აღმოსავლეთის მეორე	92	25
აღმოსავლეთის მესამე	92	25
რუბლი, 1/2 იმპერიალი	7	80

თფილისის სააღგ.-მამ. ბანკის ვი-
რაოს ფურცელი — — —

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

პირველი სესხის	224	—
მეორე სესხის	221	75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	25	12 პენსი
გამბურლი	214	62 ცენტი
პარიჟი	265	62 სანტიმი
ვენა	129	50 პფენიგი
პეტერბურის კერასინი	—	—

ჭუთაისში, თუ ხონში.
ტფილისი, 18 თებერვალს.

მას აქვთ, რაც უმაღლესმა მთავ-
რობამ გარდაწყვიტა, რომ ჭუთაისის
გუბერნიის საოსტატო სემინარია
უნდა დაარსდეს, ქ. ჭუთაისსა და
დაბა ხონს შუა დიდი ცილება და
დავა ჩამოვარდა: ერთსაც უნდა ეს
სემინარია დასაკუთროს და მეორე-
საც.

პეტერბურის სწავლა-განათლების გამგე
(პროპედიტი) დ. ხონის მხარის იჭერს;
იმან უკვე წარადგინა, ამ საგნის შე-
სახება, თავის აზრი ნამესტნიკის მთავ-
არ სამმართველოში, აზრი, რომელ-
შიაც გამოცხადებულია, რომ სემი-
ნარია ხონში უნდა გაიხსნას.

რადგან საოსტატო სემინარია მო-
მავლის ენკენისთვის უნდა გაიხსნას
და დროზედ თადარიგი და მომზადება
არის საჭირო, ამის გამო ამ საქმის
დაგვიანება აღარ შეიძლება: მალე
უნდა გადაწყდეს—ჭუთაისში გაიხსნე-

ბა, თუ ხონში. მსგ. ამბობენ: მთა-
ვარ სამმართველო ამ დღეებში, ერ-
თის კვირის განმავლობაში დაბო-
ლოებს ამ საქმესა.

ხონელები ძალიან მხნე იქცევიან
თავის საწადელის მისაღწევად.
იმას გარდა რომ, ჩითაც კი შეიძლე-
ბოდა, თავისკენ მიიბრეს ის პირები,
რომელთაც ამ საგნის გადაწყვეტაზე
ცოტა მაინც გავლენა ექნებოდათ,
იმათ სხვა, უფრო ზნეობითი და
თითქმის პედაგოგიური საბუთებიც
მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად, რომ
ჭუთაისს დაბა ხონი აჯობებს საოს-
ტატო სემინარიის სამყოფათაო; კი-
დეე ამას გარდა მატერიალურის მხრით
დიდ შემწეობას ჰპირდებიან ხონე-
ლები მომავალ სემინარიას, თუ კი
იმათი სურვილი შესრულდება.

მართა ხონელმა გამგეცა ჩვენ
შემდეგი ცნობანი, როგორც თვით
იმათ დ. ხონზე, აგრეთვე, იმ შემ-
წეობაზედ, რომელსაც ხონი ჰპირდე-
ბა სემინარიას. მოგვყავს აქ ზოგიერ-
თი ამ ცნობათაგანი:

დ. ხონი მდებარებს ჭუთაისიდან
25 ვერსზედ (ფოტის ტრაქტა);
სამტრედიის რკინის გზის სტანციიდან
18 ვერსზედ.

მცხოვრებლების რიცხვი თვითონ
ხონში 600-მდე ითვლება; მაგრამ
გარემო ზედ მიკრულია შემდეგი
სოფლები: ივან-დიდი, ქუბი, საწუ-
ლუკიძე, ნახუნდევრი, მონტუ-
თი; ცოტა მოშორებით: ჯიხაში,
ლანჩი, შვიტარი, შარცანაყენი,
ინეთი, ქულაში და სხვ. მდინარე
წყალი შიგ ხონში არ ჩამოდის, ხალ-
ხი წყაროებით გამოდის; მაგრამ სხე-
ნის-წყალი სულ ვერს-ნახევარზე ჩა-
მოდის დ.ბიდან. სხენის-წყალს იქით
იწყება სამეგრელო, ასე რომ ხონი
თითქმის მთელი გუბერნიის შუა ად-
გილი არის.

ხონში ბევრი ქვის სახლებია. სამ-
ასზე მეტი ღუბანი. დიდი ვაჭრობა,
პარასკეობა.

სოცხალ და დაკოულ პირუტყვის
ბ.ჟი, ეჭრების და გილდის გადასა-
ხადი, ნოტარიუსის, სასამართლოს
შემოსავალი,—სულ ეს 4,000 მანე-
თამდინ აქვს ხონს წელიწადში შე-
მოსავალი. ამ ფულიდან 1,200 მან.
ხონის ორ-კლასიან სასწავლებელზედ
იხარჯება.

ხონის საზოგადოებას ეკუთვნის
ორი დიდი სახლი: ორ-კლასიან სა-
სწავლებლისა და სასამართლოს (საცა-
ადრე საქალებო სასწავლებელი იყო,
რომელიც დაიწვა).

წარსულ წელს შედგენილის განა-
ჩენის ძალით, ხონის საზოგადოება
ჰპირდება საოსტატო სემინარიას: ათას
თუმანს ფულს და 10 ქცევა ადგილს.
შავილი 21 დეკემბერს ხელ-ახლად
შეუდგენიათ დამატებითი განჩინება,
რომლის ძალითაც ნებას აძლევენ,
რომ იმ ორის სახლით დროებით, 4
წლით, ისარგებლოს სემინარიამ, სა-
ნამ ხაზინა ახალს სახლს ააშენებდეს;
და ამას გარდა, თუ მთავრობა ისურ-
ვებს, ათას თუმანს მაგიერად, საუ-
კუნოთ მიიღოს ის ორი ზომოსენე-
ბული სახლი და რაც იმის გარემო
საზოგადოების თავისუფალი ადგი-
ლია.

პი ეს დ. ხონი და ამას ჰპირდება
ის მომავალ საოსტატო სემინარიას.


ჭუთაისი კი, როგორც ამის წინა-
თაც იყო ჩვენს განხეთში გამოცხადე-
ბული იქაურ ძალაქის რჩევის გარდა-
წყვეტილება, ჰპირდება სემინარიის
სახლის ასაშენებლად ადგილს, ამ
სახლისათვის საჭირო მასალას, ე. ი.
ქვასა და ქვიშას, და ამას გარდა
თხუთმეტის წლის განმავლობაში მუ-
დამ წელს ას-ას თუმანს შემწეობას.

ჩვენის აზრით, მთავრობამ ამ და-
პირებებსა და აღთქმას თითქმის სრუ-
ლად არავითარი ყურადღება არ უნდა
მიუქცოს. საცა წელიწადში საოსტა-
ტო სემინარიის შესანახად 48,000
მანეთამდინ იხარჯება, იქ წელიწად-
ში ათას მანეთის შეწირვას, ან ერთ-
დროებით ათი-ათასისა და ერთი ნა-
ჭერი მიწისას, ბევრი მნიშვნელობა
არა აქვს.

საქმე იმაშია—თუ ქვეყნისათვის,
ხალხისათვის და თვითონ სემინარი-
ისათვის სად ემჯობნება, რომ იყოს-
ჭუთაისში თუ ხონში? რომელი ამ
ადგილთაგანი უფრო მოთავსებულია,
უფრო მოხერხებულია? სად უფრო
ადვილად შეუძლია ხალხს ისარგებ-
ლოს სასწავლებლით? სად უფრო
უკეთ შეიძლება სწავლის წიყენა
და სხვ.?

და ყველა ამ მხრით, როგორც
წინეთაც გამოვთქვით, ჩვენის აზრით,
საოსტატო სემინარიისათვის ქ. ჭუთა-
ისი უფრო მოხერხებული ადგილია,
ენკე დ. ხონი.

მაგრამ ხონშიაც რომ გაიხსნას,
ბევრს არც ამისთვის შეეწიუნებთ
თავს: ოლონდ კი დროზე გაიხსნას,
ოლონდ რიკიანი სასწავლებელი იყოს,
ოლონდ კი შეგვეძინოს, ერთიც არის,
კიდევ საშუალო სასწავლებელი და
ჭუთაისში თუ არ იქნება, დაე ხონ-
ში იქნეს!..



ქართული ენა სას. სემინარიაში.

(წერილი რექტორთან)

მას აქვთ, რაც ჩვენში სასულიერო სემინარია დაწესებულია, ყოფილა საჩივარი, რომ ახლად შესული მღვდლოთ სემინარიელი უცოდინარია ქართულის ენისაო, სულ ვერ კითხულობს ქართულ საეკლესიო წიგნებსა და სხვ.

რა მიზეზია? აი რა: ქართულ ენას იმ თავიდან აქამდინ არას დროს არა ჰქონდა მკვიდრი მდგომარეობა სემინარიაში. მა იყო უკანონო შეიღობა-სემინარიისა მის შეიღობის — საგნებთა შორის; მისი შესწავლა მოსწავლის ნება-ყოფლობაზე იყო მიგდებული; ამის მასწავლებლის ბაღს არა ჰქონდა მნიშვნელობა სხვა საგნების ბაღებთან მოსწავლეების ცოდნის დაფასების დროს; არც მთავრობა აძლევდა საყვედურს მოსწავლეს ქართული გაკვეთილის უცოდინარობისათვის.

ქართული ენის ბედი სემინარიაში სრულიად დამოკიდებული იყო რექტორის ნებაზე: ამას შეეძლო მისი აწევაც და დაწევაც.

აღრინდელ რექტორის, არხიმანდრიტ მიქტორინის, დროს სემინარიის ეკლესიაში ყოველ ოთხშაბათს მოსწავლენი სმენულობდნენ ქართულ წირვა-ლოცვას, თვითონვე წირვაზედ გალობდნენ ქართულად, კითხულობდნენ საეკლესიო წიგნებს და ერთი მაღალ კლასის მოწვევ წარმოსთქვამდა ხოლმე ქართულ ენაზედ მომზადებულ ქადაგებას...

მიქტორინის შემდეგ ქართული ენის სწავლება დადგა ისევ უწინდელ დონეზედ.

ახლა რაც შეეხება მოსწავლეებს საზოგადოთ, ისინი, ხომ მოგვხსენებთ მათი ხალხთი, ყურს არ ათხოვებენ იმ საგნებს, რომლებიც მათთვის ვალდებულნი არ არიან. სემინარიელები ამ შემთხვევაში გადაჭარბებულები არიან: ესენი, როგორც სხვა სასწავლებლის შაგირდებიც უმეტეს ნაწილად, სწავლობენ კლასისა და ბაღებისთვის, ვინც ცხოვრობს იქ.

სასურველია უთუოდ, რომ ქართული ენის პროგრამა ყოფილიყო ისეთივე ვრცელი, როგორც რუსულის ენისა, რომ სემინარიელები განვითარებულ იყვნენ ქართულ ენაზედ, მაგრამ ახლანდელი მასწავლებელი სემინარიისა ამას ვერ გამოეკიდება, რადგანაც არც პროგრამა და არც გაკვეთილების რიცხვი დაწესებული სემინარიაში (4 კვირაში) ნებას არ მისცემენ.

1872 წელს შემოღებულმა სემინარიაში ახალმა წესდებულებამაც უმეტრო ქართულ ენას. ამ წესდებულებით მოემატა სემინარიაში იმდენი სასწავლო საგნები, რომ ქართული ენის გაკვეთილებისათვის აღარ შეიძლებოდა ბევრი დრო ეჩიარებინათ; სულ მთელი დრო (დილის ნასადილეგის 2 საათამდინ) ოცნებდ მგტ ვალდებულებით სავნებს მოუწდა, ასე

რომ ქართულ ენის გაკვეთილებისთვის დაინიშნა მხოლოდ ოთხი საათი კვირაში. აბა რა უნდა იყოს ეს ოთხი გაკვეთილი?

ქართული ენის პროგრამა მეტად ღარიბია შინაარსით, მაგრამ, ესეც ვიფიქროთ, რა უნდა ექნა მის შემდგენელს. როდესაც იცოდა, რომ ოთხი გაკვეთილი კვირაში (თითო ყოველ ოთხ კლასში) ნამეტნად არ გააშლევინებდა მასწავლებელს ფრთებს. ამ მიზეზის გამო, მე სრულებით ვამართლებ პროგრამის შემდგენელს იმაში, რომ იმან გარემოების თანახმად ნახა საჭიროთ საეკლესიო წიგნების კითხვით მოსწავლეების ვარჯიშობა, თან ზოგიერთის სიტყვების და ადგილების ახსნით; ამის მეტს მასწავლებელი ამ გაკვეთილების რიცხვით ვერაფერს ვერ გაარიგებს. ამისთანა გარემოებაში გონიერულათ საეკლესიო წიგნების კითხვა კლასში ხომ უფრო სასარგებლო იქნება სემინარიელებისათვის მათ შემდეგ დანიშნულებაში, ვინც ქართული ლიტერატურის უკან გამოკიდება. ბარდა ამისა ბატ. ტატიშვილს არ შეუძლიან მთავრობის ნება-დაურთველათ გადადგას ფეხი პროგრამის წრის გარეშე.

აბა რა უნდა ჰქნას მასწავლებელმა ამისთანა გარემოებაში? არც დრო და არც საშუალება, — და კიდევ იმას სდებთ ბრალს?

არ უნდა დაივიწყოთ, რომ ქართული ენის ბედი სემინარიაში თითქმის სრულიად დამოკიდებულია ადგილობრივი სამღვდლოებაზედ; მაგრამ სამღვდლოებას აქამდინ არავითარი მზრუნველობა არ მიუღია თავის თავზედ, თუმცა შეეძლო და ნებაც ჰქონდა. ახალი წესდებულებით, სემინარიაში არ დაწესდა ქართული ენის კათედრა, მხოლოდ ამ წესდებულების ერთ მუხლში ნათქვამია, რომ ადგილობრივ მოთხოვნილებიდან-დაგვრათ სემინარიაში შეიძლება ასწავლონ ადგილობრივი ენები და სხვა საგანიც სამღვდლოების ხარჯით. სამღვდლოებამ წესდებულების ამ მუხლით არ ისარგებლა, და თუ ესარგებლნა იქნება ეხლა ცალკე კათედრა ყოფილიყო სემინარიაში ქართულის ენისა. ნუ თუ მთელი საქართველოს სამღვდლოებას არ შეეძლო ქართულის ენის კათედრისათვის შეეწირა ყოველ წელიწადს ხვედრი ფული (900 მ.) მასწავლებლის ჯამაგირათ? ძალიან კარგათ შეეძლო, მაგრამ არ მოინდომა, არ მოინდომა რომ ეს მისი ფულით ყოფილიყო, ან ვერ მოახერხა. სამღვდლოება მაშინაც გულ-გრილათ მოიქცა, როდესაც 1879 წ., მთელი საქართველოს სამღვდლოების დებულებათა კრების დროს, ზოგიერთმა პირებმა თხოვნა მისცეს ეგზარხოსს ქართული ენის კათედრის გახსნაზედ ეშუამდგომლა უმაღლეს სასულიერო მთავრობასთან.

ეგზარხოსმა არ მიიღო თავის თავზედ უშუამდგომლობა, არ მიიღო

უთუოთ იმ მიზეზის გამო, რომ არ იყო დარწმუნებული სამღვდლოებაზედ(?), თუ რომ ისენი არ უღალატებენ ამ საქმეს განსაკუთრებით ფულით, რადგანაც მათის ხარჯით უნდა გახსნილიყო ქართული ენის პროგრამა.

თუმცა ეგზარხოსმა არ მიიღო ეს თავის თავზედ, მაგრამ სამღვდლოებას საზოგადოების დახმარებით შეეძლო გამოეღო ხვედრი ფული ქართული ენის კათედრისთვის და მერე ეთხოვნათ უმაღლეს მთავრობისათვის ამ კათედრის დაწესება. მგონებთ მთავრობას შეეწყნარებინა ეს თხოვნა.

მაგრამ ამ საქმეში მხოლოდ ის არის, რომ მღვდლებს მეტად ეზარებათ თავიანთ ჯიბეებს, ცოტაც რომ იყოს, შემსუბუქება და ყველაფერს სხვისაგან მოეღიან...

მ. მ—ნი.

ახალი ამბები.

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ დღეებში ერთს ახალ-გაზდა ქალს, საბებო ინსტიტუტში მოსწავლეს, თავი მოუწამლავს და, თუმცა ექიმებს ყოველი ღონის-ძიება უხმარიათ, მაგრამ ვეღარ მოუბრუნებიათ; რამდენიმე საათის შემდეგ მოკვდარა.

მიზეზს ამ ქალისაგან თავის-მოკვლისას სხვა-და-სხვას ამბობენ; ზოგი ამბობს, სიღარიბეს ვერ გაუძლო და იმიტომ მოიწამლა თავიო და ზოგი კი უიმედო სიყვარულს აბრალებს...

* *

როგორც ჩვენ ნამდვილად ვიცით, ამ შემთხვევებულს თუილისის საბებო ინსტიტუტში ძალიან ბევრი ღარიბი ქალები სწავლობენ თურმე, რომელთაც ბებიაობის შესწავლით იმედი აქვსთ ლუკმა-პურის შეძენისა. ამ ღარიბ ქალების შემწევნი არაფერ არ არის, არც კერძო პირები, არც რომელიმე ქველ-მოძქედი საზოგადოება; ხაზინა კი იმათ მხოლოდ სწავლის მიღების საშუალებას აძლევს; მაგრამ როგორ უნდა ისწავლოს კაცმა, თუ ლუკმა-პური და ტანთ საცმელი აკლია?!

* *

სიღნაღის მაზრიდამ გვეწერენ, რომ ზოგიერთ სოფლებში აქეთკენ საშინლად გახშირდა ქურდაბაო. მაგალითად სოფ. ბაკურციხეში გლეხს ხარკამბეჩი ვერ გაუშვია მინდორზე საბოლოო, უეჭველად დაეკარგებო.

ჩვენი კორრესპონდენტი ამ ქურდობას აბრალებს თათრებს, რომლებიც მოჯამაგართ, მწყემსებათ უყენიან ზოგიერთ პირებთ. ამას წინათ გამოემძიებელი ერთ თათრის ბინაზე მივიდა გამოსახრეკათაო და ამ დროს ერთი ცხენიანი კაცი ორმოში ჩაფარდა. მასინჯეს ეს ორმო და იქ იპოვესო დაკლული კამბეჩის თავ-ფეხი და ტყავი. მეჯინურ გლეხის გამოჩნდა ეს კამბეჩი. გამოემძიებელმა და-

ჭერინა ეს თათრები და მარტო მათი წიმი-ში ჩაყრევიანო. (მთარგმნი სპექტრ) ატ-ზის მოჯამაგირეები აღმოჩნდნენო.

* *

ჩვენ გვთხოვენ შემდეგი წერილის გაზეთში დამეჭვას.

„ბუშინ, ცხრა თებერვალს, ხარაგაულის სასოფლო სკოლის დაარსების თაობაზე დღესასწაულობა იყო ჩვენს სოფელში. თორმეტ საათზედ სკოლის სახლში შეიკრიბნენ ორი მამასახლისი რაოდენიმე ვლევებით, ეგრეთვე დაესწრენ რაოდენიმე გარეშე პირები.

„შემდეგ პარაკლისისა მცოდნე პირებმა იწყეს ბაასი თუ რაოდენათ საჭირო და სასარგებლო არის სწავლა-განათლების მიღება და სკოლის შემწეობა, გამართეს ხელის-მოწერა სასარგებლოდ ხარაგაულის სკოლისა და შემდეგმა პირებმა შესწირეს:

- ლესნიხმა ჩველინმა — 5 მან., სასამართლოს პრისტავემა კანდელაკმა — 5 მან., ბელიაგორის სტანციის ნაჩაღნიკმა რაზალიევმა — 5 მან., მღვდელმან რომანოზ ლევანოსიძემ — 2 მან., ლევან ჩხვიციანი — 1 მან., პარამონ პიკნაძემ — 1 მან., ბიჭია პიკნაძემ — 1 მან., ალექსი მანჯავიძემ — 2 მან., ბიჭია ლევანძემ — 2 მან., დავით შეფხაძემ — 1 მან., მლისბარ მბანოძემ — 1 მან., მოსე ხარაძემ — 50 კაპ., ლედენის მამასახლისმა — 1 მან., ხარაგაულის მამასახლისმა — 1 მან., არჩილ პიკნაძემ — 1 მან., სიპიტო წულუკიძემ — 1 მან., დავით ბრიგოლიამ — 1 მან., იოსებ ჩხვიციანი — 1 მან., იოსებ ბაქრაძემ — 2 მან.

„სულ შესდგა ნაღდი ფული ოც-და-თოთხმეტი მანეთი და ორმოც-და-ათი კაპეიკი, რომელიც მიიღო სკოლის მზრუნველმა შემოსავლის წიგნში ჩასწერილ და ყველას მადლობა განუცხადა თანაგრძობისათვის.


„ამას გარდა ბატ. რაზალიევმა აღუთქვა სკოლას რომ კვირაში ორ გაკვეთილს გადასცემს მოსწავლეებს უფასოთ“.

* *

ჩვენ გვთხოვენ შემდეგი შენიშვნის გაზეთში დამეჭვას:

„ამ წლის „დროების“ მე-17 ნომერში იყო მოხსენებული, რომ მუთისის ღარიბ მოსწავლეთა და ერთი ღარიბი ოჯახის სასარგებლოთ სცენის მოყვარეთ ხარაზოვის თეატრში წარმოადგინეს: „ძალათ ექიმი“ და „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი კამბეჩი ვერ დაიჭერს“; წმინდა შემოსავალი 195 მან. იყო; ამ შემოსავლიდან 65 მ. ღარიბ მოსწავლეების შესაწევნელ საზოგადოებასა გარდასცუსო და დანარჩენი კი ერთ ღარიბს ოჯახსაო.

„მე დაბეჯითებით მაქვს შეტყობილი, რომ შემოხსენებული წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი, 195 მ. კ. არა, 170 მ. იყო. შემოსავლის მესამედი ნაწილი, ესე იგი 57 მ., პირობისა მებრ, უნდა მისცემოდა საზოგადოებას. საზოგადოებისათვის 57 მ.



მაგერათ 65 გარდაუცხათ. დანარჩენი ორი მესამედი, ე. ი. 105 მ., როგორც წარმომადგენლები ამბობდნენ და აფიშებშიაც იყო გამოცხადებული, უნდა გაწილადებულიყო სამადგენივე ღარიბი ოჯახებისათვის.

„ზემოხანებული შენიშვნის აზრით კი მართა ერთი ოჯახისათვის უნდა ჰქონდეს მიცემული დანარჩენი ფული. მიკვირს, რისთვის ამდენი ხანი გამამტყუნები შენიშვნა არ გამოვიდა, თუ მათ მოთავესაგან არა, ერთ წარმომადგენელთაგან მაინც.

„სტენის მოყვარეთ არავითარი უფლება არ ჰქონდათ, რომ მაგვარად გარჯილიყვნენ და აი რატომ: დანარჩენი ათ თუმან ნახევარი სამი და ოთხი ოჯახისათვის თუ არა, ორი ოჯახისთვის მაინც ხომ საკმაო იქნებოდა დროებით შემწობათ. მითომ ერთი ღარიბი ოჯახის მეტი ვერ ნახეს მუთაისში? უპირატესობა რათ მიეცა ერთს ოჯახსა? წარმომადგენლებს მოთავე ჰყავდათ, ალ. აკოფოვი; ის იყო ვალდებული, რომ ამდენი ხანიც გამტყუნებია ის შენიშვნა და ანგარიშიც გამოეცხადებინა, რადგან ამ საქმეს საზოგადო ინტერესი ჰქონდა და რადგან, როგორც მის ყურებამდინაც მიღწევდა, ამ ქორიან მუთაისში ქორები ასტყდა. ეს ქორები მისს და ზოგიერთის წარმომადგენელის ზნეობითს მხარეს ეგება“.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! „ძაცმა ქორი მალა და ქირმა თავი არ დამალა“. ჯერ მე ვმალე „მიმოხილვის“თვის „მეგროვილი ფულების ისე უწესოთ მოქცევა და ეს თვით გამოცემსაც კი, შაბაშვილის ქალს, დავუმაღე, რომ არ მინდოდა გაქვეყნიერებულიყო და ერთიც კიდევ საზოგადოების თვალში დაცემულიყვნენ ჩვენი საზოგადო საქმეზედ ზოგიერთა მოწოდებართენი.

მაგრამ, როდესაც ათასი ქორებით, ცილებით და სხვა უკადრისებით აღარც მე დამზოგეს აღარც ჩემი სახლობა და აღარც თვით მეგობრები და ნაცნობებიც, ჩემი „მიმოხილვის“ თავის დანებების გამო, მე იძულებულ მყვეს გამოეცხადებინა ბეჭდვით, რომ ჩემი „მიმოხილვის“ თავის დანებების ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი, რომელიც ჩემ პირველ განცხადებებში არ მინდოდა გამეზილხა, იყო ისა, რომ „მიმოხილვის“ ფულები არ აღსრულებდნენ თავის დანიშნულებას.

როცა მე მოვიწოდებ ამის განცხადება და მოგართვით დასაბეჭდათ ამაზედ შენიშვნა, მაშინ თქვენ, იმავე მიზეზების გამო, რა მიზეზითაც პირველათ მე არ მინდოდა ამის განცხადება, არ დამიბეჭდეთ ის შენიშვნა, იმ იმედით, რომ ჰფიქრობდით, — ამ ფულების დამხიბლავნი დროზედ დაკმაყოფილებდნენ ფულების შემომტანლებს. მაგრამ, საუბედუროთ ეს თქვენიცა და ჩემი სურვილიც არ შესრულდა.

დღეს თქვენ გაზეთში ვკითხულობ რვა კაცისაგან ხელ-მოწერილ წერილს, სადაც სთხოვენ ბეჭდვით „მიმოხილვის“ რედაქციას თავის ვნით შეტანილი ფულების დაბრუნებას, რადგან კერძო წერილების მოწერით ეს ფულები ვერ გამოუტანიათ.

ღიას, ბატონო რედაქტორო! მმალეთ ქირი, მაგრამ ქირმა თავი არ დამალა.

ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენ ამ გვარ საქმეებში გვლუბავს ამ გვარი ქირის მალვა. ჩვენ დავმალეთ და არ მოვიტხოვეთ ბეჭდვით მოყვარულთაგან „მეგროვილი ორას თუმანდის თეატრის“ შეტყუილი ფული იმ პირთა, რომელთაც ეს შეტყამეს; მე, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, დავფარე და არ მოვიტხოვე ამ შეიდი-რეა წლის წინათ ერთი დახურული რედაქციისგან შეტყუილი ფული, რომლისაც ბატონები დღესაც პორტფელში მიწყვიტა; ჩვენ ვფარავთ და არ ვთხოვთ ანგარიშს ამ ერთი წლის წინათ საზოგადოებაში მეგროვილი ფულისა, რომელითაც უნდა გამოეცემულიყო ერთი მწერლის თხოვლებანი და დღესაც ვინ იკის რა იქნენ ის ფულები, და სხვა ამ გვარები. ჩვენ რომ ესეები არ გვეფარა, დღეს იქნება „მიმოხილვას“ ეს განსაცდელი არ მოსდგომოდა.

მთხოვთ ამ მოკლე შენიშვნას მისცეთ ალავი თქვენ პატრეცემულს გაზეთში, რადგან შეიძლება იფიქროს ვინმემ — რა კი მე „მიმოხილვის“ დასაუბნებლათ მქონდა გამართული მიწერ-მოწერა, — რომ რედაქციასა და ფულების გამგებაში მქონოდეს რამე მონაწილეობა. როგორც წინა ჩემი წერილებითაც სცნობს მკითხველი, რედაქციაში მე არავითარი მონაწილეობა არა მქონია.

რაც შეეხება ფულებს, მე თითონაც ვთხოვულობ ჩემ წარდგენილ ფულებს, მაგრამ ვგრეთვე ამაოდ, როგორც მოყვანილი წერილის ავტორები.*).

ანტონ ფურცელაძე.

მღვდელს აბრამ ბალაშს.

(დასასრული **)

მ. ბალაევი მოგვითხრობს, რომ წარმოგიდგინეს ოთხი ჩვენი მაზრის ღარიბი მოსწავლე, რომელნიც სახლის პატრონებს დაეთხოვნათ სახლიდან საზრდო მიუტყებლობისათვისა და თოვლში ქუჩა-ქუჩა დადიოდნენო; ესენი ღირსნი არიანო საეკლესიო ხარჯზედ მიღებისა, მაგრამ ადგილის უქონლობისა-გამო არ მიუღიაო. და ყვედრის ზედამხედველსა: „რატომ თვითონ არ მიიღო ესენი“

*) ზიჩუკლად დამიბრუნეს ჩემი შეტყანილი ფულიდამ მართა რვა თუმანი და სხუთი მანეთი. დასაწყისი ისევე ზედ არის, თუქცა ვადა იანვარი იყო, რომ უნდა მოეცათ.

ს. ფ.

**) „დროება“ № 32.

თავის ბლომა სადგომშიო; თუ-კი სხვა თავის მცნობების შეიღები ჰყავს გაპრტყელებულნი სასწავლებლის სახსლეში, — რატომ ესენი-კი არ მიიღოვო“...

ზედამხედველს „ბლომა“ ოთხეტი სრულიადც არა აქვ; მას უჭირავს სულ სამი ოთახი: ერთში არის სასწავლებლის ბიბლიოთეკა და იგივე არის სამცადინო ოთახი ზედამხედველისა. ამ ოთახში ისეთი ვიწროობაა, რომ აქ შეგირდების მოთავსება შეუძლებელია; მეორე პაწაწა (სივანე სულ ორი ადლი არც-კი ექნება) საძილო ოთახია და მესამეც სასტუმრო, რომელშიაც მასწავლებელნი იკრიბებიან და რომელშიაც თვით სამღვდელოთ კრებაც იყო. ეს არის „ბლომა“ ოთახები? რომელს ოთახში მიეღო ზედამხედველს ყმაწვილები?

მეორე: რომელი, ვინ ნაცნობის შეიღები ჰყავს ზედამხედველს სასწავლებლის „გაპრტყელებულნი“? დამისახელეთ ერთი-და! მეო, კლასებიც არ იმართება სასწავლებლის სასახლეში და ყმაწვილებისათვის სად არის „გასაპრტყელებელი“ ადგილი! მაგრამ მ. ბალაევი სხვანაირად ჰფიქრობს; მას თელავის სასწავლებელში პანსიონი ჰგონია; მან არამც-თუ არ იცის, სიზმარშიაც არ მოზმანებია, რომ აქაური პანსიონი გარდაიცვალა 1877 წლის 5 მკათათვის სამღვდელოთ ყრილობის წყალობითა. ნუ თუ ეს არ ამტკიცებს თქვენს გულ-გრილობას და უზრუნველობას სასწავლებლისადმი? — როდესაც თქვენ არ იცით: პანსიონი აქვს თქვენს სასწავლებელს თუ არა, რა უნდა იცოდეთ თქვენ იმაზედ, რაშიაც თელ. სასწ. ამტყუნებთ? მერე: ყველას ეპატიება ვგრეთი გულ-გრილობა, მაგრამ თქვენ-კი არა: თქვენ ხართ თქვენის საბლალო-ჩინოს წარმომადგენელი, დაუტუატი, რომელსაც მოგანდეს თავის შეიღობედი და ნუთუ თქვენ ვგრეთის გულ-მზურვალეობით ამირთლებთ თქვენის სამღვდელოების ნდობას თქვენდამი? მგრეთია თქვენი მზრუნველობა შეიღობათვის?!

თუ-კი თავის მდიდარის დისწული-სათვის იმოვა ადგილი, — ღარიბებს-კი ვერ აღმოუჩნდოა! უკვირს და ბრძანებს მ. ბალაევი. რას ჩაკვიდით ზედამხედველის დისწულს? მოველთვის თქვენი ყვედრება ზედამხედველისადმი იწყობა და თავდება ამ ყვედრებითა. რატომ თქვენის ცხვირის წინ კი არ იყურებით; რატომ იმას-კი არ ამბობთ, რომ სიღნაღის მაზრიდამ არიან მიღებულნი მისი (ზედ. დისწული მირიანოვი) ორნი ამხანაგნი (ბლ. მღ. ჩახანაგვის შეიღი და მ. შანშიევის შეიღი), რომელნიც მირიანოვზედ შეძლებულნი თუ არა, — ღარიბნი არ არიან? თუ მირიანოვი მიღგომით არის მიღებული, — რას იტყვით ჩახანაგვზე და შანშიევზე? მაგრამ რა... მირიანოვი თელავის მაზრისა და იმითამ არის მტყუანი ზედამხედველი, თორემ თუ საქმე შეეხრო თქვენებურებსა — ქიზიყელებს — მილლიონის პატრონიც რომ მიიღოს

საეკლესიო ხარჯზედ, მართალი გამოვა თქვენს თვალში.

მაგრამ რა გაგამტყუნებთ თქვენს ქიზიყელები, როდესაც დამამხობელი სენი — „ჩვენი-თქვენობა“ ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი საქართველოს ერსა.. მითობა, შეერთებული ძალა ჩვენ, ქართველთ, როგორღაც გვეჩოთირება. სად არის შაბუა მრბე-ლიანი, რომ თქვენში ბლალოჩინად არ არის!...

შეოო გასაკვირველი თვისება მ. ბალაევისა და მის თანამოაზრეთა ის არის, რომ მათ არ უნდათ სიმართლის, ქვემარტების, საქმის გაგება და ყველაფერზედ თავისებურად სჯიან. აი, მ. აბრამ, თუ სიმართლე გინდათ, რად არიან შეძლებულთ შეიღები მიღებულნი საეკლესიო ხარჯზედ.

როდესაც 1875 წ. 6. მთვარელი-შვილის (ზედამხედველი) მეცადინეობით სამღვდელოებამ მოსამზადებელი კლასი გახსნა, სხვათა შორის შემოვიდნენ სასწავლებელში სამი ზემოლ-მოხსენებულნი მოსწავლენიც. რადგანაც საეკლ. ხარჯზედ მისაღები ადგილები ილმოჩნდა და მთხოვნელი-კი არაივნ, სხვათა შორის ესენიც იქმნენ მიღებულნი თხოვნისამებრ მათთა მშობელთა.

მიბრძანეთ ახლა: როგორ-ღა დავთხოვნათ ესენი და როგორ დაითხოვონ, როდესაც 1875 წლიდამ ესენი იყვნენ და არიან ეხლაც უკეთესთაგანი მოსწავლენი? და მოსწავლეს მოაკლდება ხარჯი კანონის ძალით მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ან უხეიროდ სწავლობს, ან შეუსაბამო ყოფა-ქცევისა არის. რა მიზეზი მოიგონოს სასწ. სამართველომ ამათ წინააღმდეგ, როდესაც ესენი სწავლობენ კარგად, და ყოფა-ქცევი-თაც კარგნი არიან? მინც იცის ყმაწვილის გული, — ის ადვილად მიხვდება, თუ როგორი ცუდი და მავნე ზედ-მოქმედება ექმნება მოსწავლესზედ უსამართლო მოქმედებასა... ამის განმარტება, ვგონებ, საჭირო არ არის.

„თელ. სასულ. სასწავლებელში სინდისის მაზრის სამღვდელოთ შეიღობათგან წელიწადში ძლიეს სწავლობს 10 — 15 ყმაწვილი“. ამბობს სულიერი მამა.

ამ გვარის ტყუილის თქმაც შეიძლება განა?! აი სიმართლე: დღეს თელ. სასულ. სასწავლებელში ჰსწავლობს 44 ყმაწვილი სილ. მაზრის სამღვდელოებისა. თუ მ. აბრამს ჰნება-სიას მივართმევთ...

წერილის ბოლოს მ. ბალაევი მეცნიერებაშიაც შედის და არწმუნებს ქვეყანის:

„ჩვენთვის კოანომიურის, კოკრატფი-ულის და ადგილობრივის მსრით უფრო ადვილია ტფიდასში წასვლა-მოსვლა და სასწავლო წადება, ვიდრე თელავში...“

ამ ბრძნულის მოსაზრების სიტყუ-ვე ყველასათვის ცხადია; მაგრამ მე მაინც ვიტყვი რამდენსამე შენიშვნას: თუ მ. ბალაევი „ეკონომიურის მხრით“ იმას ამბობს, რომ სიღნაღიდამ ტფი-



აღწერა

მედიკალინური მკურნალობის

გათავა რა საქმეები მეთაისში, გად-
მოვიდა მბილისში, და ამით აცო-
ბებს თავის კლიენტებს და საქმის რჩე-
ვის მსურველებს; რომ ის მიიღებს
იმთ დილის 8—11 საათამდინ და სა-
ლამოს 5—8 საათამდინ. ზოლო-
ვინის პროსპექტი „პარიის“ სასტუმ-
რო № 3. (3—3)

ნსპილება ჩიი გირვანქებით, ნამ-
დვიდი ბრატია K. II C. შაშვიანი. მ-
ნეთში თხისი კაპიკის გამარინცვით.
აწმრუნის ქარვასლასია, სიონის სო-
ბორას ხსლო, ივსე აღსწავის კან-
ტონში. (3—3).

დასქილვა ფასებით:
საწამთრო შალტოები 12 მანეთიდან;
ჭუჭიაკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1
მანეთიდან, ფოდნოსები 5 კანკიკიდან;
თუფები 12 კანკი. თითო; სანდუსის
ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კ-
ფეტები 40 კანკიკიდან, და ჩიი, რ-
მულია ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ის-
ვიდება 1 მან. 80 კ.
ინგლისის მალაზიაში, აწმრუნის
გალეურისი. (20—2).

ლონდონის მალაზია
მრევის მოედანზე № 2, კომერ-
ცულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია
წმინდა ძაანტის და ჩინეთის პირველი
მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუ-
კეთესო ინგლისის საქონლებსა, მა-
გალითად: თოფების, რევოლვერები-
სა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი)
კრავატების, დანა-ჩანგლების, სჩაიე,
ტიტების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიე-
ლი სუკრის ერბო, სასურნეების,
საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი
წინდების, ჩულტების, კარანდამების,
რკინის კალმების და სხვ...
(100—39)

მიუხედავად იმისა, რომ ბაჟი მთი-
მაცა, საქონელი გაიყიდება ისე იმ ფა-
სად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი
1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო
მინიგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.,
მშვენიერი ვისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ.
80 კ. ძრეულ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა
უქალადლოთ.

ინგლისური რეკლამები 4 მ.—40
მანეთამდინ და თოფები 20—200 მ-
ნეთამდინ. ინგლისის მალაზიაში.
საგეტრო ბანსის უნგრების გასას-
ყიდვად, ჯონსის კლიტებისა, შოკო-
ლადისა და კესტრანქტის კაკაო ჭრის,
რომელთაც დაიმსახურეს ზარიყის მსოფ-
ლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი.
გირვანქა არომატიული ჩაისა ღამაში
ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთე-
სო 2 მ. 30 კ. გარეები მოიგებენ, თუ
იყიდან ბლამთ ინგლისის მალაზიაში.
მთელი კოსტიუმი 15 მ. სველების კონ-
ტეკები 60 კ. ერთი გირვანქა.
100—28

ლისამდინ თითქმის ყოველთვის დაი-
არებთან ფურგუნები და ამით გავი-
სტუმრებთ ჩვენს შეილებსა, ამის
პასუხად აი რას ვიტყვი: რა ცუ-
დია მგზავრობა ამ ტრაქტზედ—ბევრს
გამოუტლია; მელაფი უფრო ახლოა
ხილნალზე, ვიდრე ტფილისი, გზაც
მელაფისკენ უკეთესია, მგზავრობაც
ადილი (თითქმის განუწყვეტლივ სო-
ფელ-სოფელ მოდიან). მუნდ ვსთქვათ
ტფილისში წ. სელა-წამოსელა უფრო
იაფად ჯდება, ვიდრე მელაფში,—
რატომ იმას აღარ ჰფიქრობენ: სად
უფრო იაფად დაჯდება ყმაწვილის
შენახვა: ტფილისში თუ მელაფში?
მსიკ იქონიეთ მხედველობაში, რომ
კოტას ხნის შემდეგ ზომბორის გზა,
მოსალოდნელია, გააუქმებს სილნალი-
ტფილისის ტრაქტსა...

რა? „მეოგრაფიულის მხრით ტფი-
ლისში გვიჩვენიაო!“ რას ბრძანებთ
მამაო? თუ მანძილზედ ბრძანებთ—
მელაფი უფრო ახლოა სილნალზედ;
თუ გზის სიკეთესა—მელაფამდის
სჯობია; თუ ჰავასა რა მოგახსენოთ:
თქვენ თუ გარკვებთ ტფილისის ხმე-
ლი ჰავა, თორემ რა ვეცი, მე ყველ-
გან გამოგონია, მელაფი საცხოვრებ-
ლად შეუდარებელია ყოველის-ფრი-
თაო.

„მას დაჭრეთ ბ. სედასხედედის
ყოველ-გვანო ზრუნვა და შეცადისობა
მსოფლად გარკვან სასწავლებლის გალა-
ხათანსებას და არა მისს მიზნის აღსრუ-
ლებასზედ...“ ბრძანებს მ. ბალაფი.

თქვენ რომ იცოდეთ ის დიდი
გავლენა და მნიშვნელობა, რომელიც
აქვს სასწავლებლის მოწყობილებას
ყმაწვილებზედ და მათს სწავლა-განათ-
ლებასზედ,—დარწმუნებული ვარ, არ
წარმოასთქვამდით ამ გვარს აზრსა.
შეპყრეთ ყმაწვილები უსუფთაო,
უხეირო, მოუწყობელს ოთახებში და
დაუწყეთ სწავლება. რა გამოვა იქი-
ლამ?—პრაფერი. მოგონეთ თქვენის
დროის „ბურსა“, მაშინდელი მოწყო-
ბილება და კარგად დაიქრით: რო-
გორი გავლენა ჰქონდა თქვენზედ?
რომელს მხარეს მეტყვიით ზნეობისა,
რომ მაშინდელს ბურსაში საშინლად
დაცემული არ ყოფილიყო?.. ბავში
ყველაფერში უნდა იწვრთნებოდეს;
ბავშია მომავალი ოჯახის მამა,
მომავალი მომქმედი საზოგადოებაში
და თუ სასწავლებელშივე არ გაცნეთ,
არ შეაჩვიეთ „კატურს“ ცხოვრებას,
ბევრს დაჰკარავს: დანაშთინს სიცოც-
ხლეს „ცხოვრების“ გაცნობას და
შესწავლას მოანდომებს და მეცნიე-
რება-კი უნაყოფოდ დაჰრჩება თაე-
ში...

ჩვენ გადასწყვიტეთ 1000 მანეთი
ვადლით ყოველ-წლივ შეილთა
აღზღისათვის! ამბობს მ. ბალაფი.
საქმე, ალთქმა კი არა, აღსრულება
სიტყვისა. მელ. სასწ. ზედამხედველის
კლასების მასწავლებელთათვის-კი არ
იკისრეთ თვითთულმა მღვდელმა 7
მანეთი, რომ ჯერ წარმანდლი 1880 წ.
ფულიც არ წარმოგიდგენიათ! შაი-

ძახით: მელაფელბთან ყოფნა არ
გინდაო და, უთუოთ, ფულსაც იმი-
ტომ არ არდგენთ თუ მელაფის
სასწავლებელი არ მოგწონსთ,—მაშ
თქვენს შეილებს რალთ ჰგზავნით
მელაფში? შეილთ აღზრდა-კი გინდათ
და ხარჯის მიცემა-კი არა? ან რატომ
ყრილობაში პირ-და-პირ არ გამოჰ-
სთქვით, რომ, მელაფის სასწავლე-
ბელთან ყოფნა აღარ გესურსო, და
იძახლით: „მეძლება არა გვაქვს, ღ-
რობნი ვართო, ვერ შევწირავეთ ფულ-
საო.“ რატომ ყრილობაში არ წარ-
მოჰსთქვით პირ-და-პირვე თქვენი
აზრი და ყოველს სიტყვებზედ და
კითხვასზედ „ღარიბნი ვართო“—ატან-
ლით?!

რ. მამასხვილი.
თელავი, 10 თებერვალს.

განცხადებანი

ოფილისის გიმნაზიის კადამოგიურ
რეპრესანტან

26 სექტემბერს ამა 1881 წელსა,
მართებლობის ნებართვით, აღდგასწა-
ვლებს თბილისის გიმნაზიის ორმოც-
და ათი წლის არსებობას.

შედაგოგიურ რჩევას მინდაბილე-
ბით, ერთი გიმნაზიის მასწავლებელ-
თაგანი ამხადებს ამ დღისთვის ის-
ტორიულ აღწერას ამ სასწავლებლი-
სას. სამწუხაროდ, თბილისის არსიკუბ-
ში არ აღმოჩნდა გიმნაზიის ისტო-
რიისათვის ბევრი უსაჭიროესი მას-
ლები (დოკუმენტები), რას გამო ის-
ტორიული აღწერა მალა-უნებურად,
სუსტად გამოდის. ამასთანავე, რაც
მასლებია, ისიც მომეტებული ნაწილი
აფიციალური და ფორმალური ხასია-
თის აღმოჩნდა. ამისთვის შედაგოგიური
რჩევა მიჭმართავს ყველას იმ მრავალ-
შირთ, რომელნიც თბილისის გიმნა-
ზიის მასწავლელთ ყოფილან, და
სთხოვს დაეხმარონ მას ამ საქმეში ყო-
ველგვარ ამ გიმნაზიის შესახებ, ცნობე-
ბას წარმოადგენიან, რაც შეიძლება მოე-
ლე ხანში, განსაკუთრებით შესახებ
გიმნაზიის შინაგან წყობილობისა:
სწავლის მსვლელობისა ანუ მეთოდისა,
ან რომელიმე გამოჩენილი მოვლენე-
ბისა, მასწავლებელთ ხასიათებისა,
უფროს ზირებისა და, საზოგადოთ ყვე-
ლასა, გისაც კი რაიმე მონაწილეობა
მიუღია ამ მთელ კავკასიის მხარეში
უძველესის სასწავლებლის ბედში,
სადაცმაც გამოსულან ეგრე მრავალი
რაცხევა სხვა და სხვა გვარ მომქმედ-
ებთა, რომელთაც უშრომიათ და ეხ-
ლაც შრომობენ ყოველგვარ ასპარეზ-
ზედ ჩვენს მხარეში.

ეს ცნობები უნდა გამოიგზავნოს
თბილისის გიმნაზიის დირექტორის
სახელსედა. (3—2)

თბილისის ცხოველთ დამოვარკველი
საზოგადოება იწვევს ბ. წევრთ, ამ
საზოგადოების საზოგადო ყრილობის

სსდამაზედ 20 თებერვალს, პარაკვს,
8-ს ხსკვერ საათზედ, სადამოს, კავკა-
სიის სამეურნეო საზოგადოების სად-
გამში. გასაწვევი სავნები:

- ა) მასკოვის გამოფენისათვის დასი-
მული ნივთების გარდათვადიერება.
 - ბ) საზოგადოების გამოცემების გან-
სილვა და ღონის-ძიება მათ გასაგრე-
ვლად.
 - გ) წევრის ა. მინკვის წინადადება და
სხვ.
- გარეშე ზირნიც მიიშვებან სსდამა-
ზედ.
- ბ.ბ. წევრთ ვაკანუბთ ამ წლის სა-
წევრო გარდასახადის შემოტანას.
(3—3).

აუქციონი

თებერვლისა 28-სა და მარ-
ტის 7-სა და 14-ს ამა 1881
წელსა კავკასიის აქეთა მხრის
ზრიკანში გაისუიდება ვადა კა-
სული დაგირავებული ნივთეუ-
ლობა.

ვერცხლეული, ოქროული და
ბრილიანტეული. (3—1)

ლონდონის მალაზია კომერციული
ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის
გასასყიდვად ზირველი მოკრეფილისა და
საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-
გალითურ: თოფებისა, რეკლამებისა,
კლიტებისა, ჭურჭლებისა, კარვანებისა,
დანებისა, კოვანებისა, ჩაინიკებისა, შო-
კოლადისა, კაკაოსა, დუსებისა, საპონი-
სა, შოკოლადისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-
ლადისა, კარანდამისა, კალმებისა, უხ-
გებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშე-
ვისი წეთისა) და სხვ. საგეტრო მა-
კინტომას მოსახურავებს გასასყიდვად
კანფეტებისა და ბატონისა და კამშ. მუ-
რებისა, აგრეთვე ჩულტებისა და წინდე-
ბისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ქუანას
სიგარები. (100—30)

კატანბიანი უნობაები

თბილისათვის 1 მ. 50-დან და ცხენე-
ბისათვის 1 მ. 75-დან; ვეგვილები
სახურავებით 2 მანეთიდან; სარძევე
30 კანკი; რძეები 5 კ.-დან; ფილტრე-
ბი (წელის დასაწმენდი) 3 მ-დან და
გვადები 1 მან-დან; თუფები 2 მ-დან
ინიდუჯ; შოკოლადის კანფეტები 20
კ-დან თითო ყუთი და სხვ. ინგლი-
ურს მალაზიაში. (100—99)

ველაზედ უფრო ბევრი საქონელი
კავკასიის აქეთა მხარეში ინგლისის მა-
ლაზიაშია, აწმრუნის გალეურისიში:
ღირს ხასხავად.

ნსპილება საწამთრო მოსახურავები,
ტანისამოსები, მაუდები, ტრიგო, თუფ-
ები და მურაბები. 500,000 კლიტები,
ფოდნოსები და კალმები 30% უფრო
იაფად, ვიდრე სემე სხვან. 20—9